


ბიზნესი

თბილისი რაიონი
"ბიზნესი"

☎ (995 32) 91-35-81 (82,83)
(995 32) 20-24-24
899 26-20-19

გაგონიერების ოფისი/ბანკი პარტნიორები



ინვესტიორები საერთაშორისო არბიტრაჟს ირჩევიან

WHITE & CASE-ი ვის იცავს საქართველოდან

თინა შავაძე

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის სადავო საკითხების გადაჭრისას საქართველოში სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ საერთაშორისო არბიტრაჟს და არა სასამართლოს. ამ გზით ქონებრივი დავის გადაწყვეტას თავისი დადებითი

და უარყოფითი მხარეები აქვს, არბიტრაჟის მომსახურება ძვირადღირებული სიამოვნებაა, თუმცა დავის გადაჭრა მოკლე დროში ხდება. საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებული მეთოდი - არბიტრაჟის გზით დავის გადაწყვეტა ადგილობრივი კომპანიებისა და თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ქვეყანაში დღემდე არ

არის სათანადოდ გამოყენებული. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო არბიტრაჟის ჯგუფის WHITE & CASE-ის ექსპერტებმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ადგილობრივი კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომად-

გენლებისთვის სემინარი გამართეს. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო არბიტრაჟის არსის ახსნა. ექსპერტმა პაულ ფრიედლანდმა ისაუბრა, თუ რას წარმოადგენს საერთაშორისო არბიტრაჟი, რატომ არის საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არბიტრაჟის გზით დავების გადაწყვეტა. **ბაზრძალაბა B2 ბავარძაძე**

ინვესტიორები საერთაშორისო არბიტრაჟს ირჩევიან

პირველი ბავარძაძე

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანას წარმოადგენს, აქ კერძო სტრუქტურა ახლა ყალიბდება და ამიტომაც ბიზნესის განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ფრიედლანდმა ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლებს პრაქტიკული რჩევები მისცა. საბამ ბიზნესჯგუფები საქმეს დაიწყებენ, და მის შემდეგაც სახელმწიფო სტრუქტურებში უნდა აისახოს პასუხისმგებლობები, რომლებიც კომპანიის სტრატეგიულ პოზიციას უფრო მყარს გახდის. ფრიედლანდის განმარტებით, სასამართლოს დადების გადაწყვეტის მექანიზმთან შედარებით, საერთაშორისო არბიტრაჟი ალტერნატიული გზაა და მას სასამართლოსთან შედარებით ბევრი დადებითი მხარე აქვს.

საერთაშორისო არბიტრაჟის პრიორიტეტულ მხარეებზე გახუტ "24 საათს" USADI-ის საქართველოში ბიზნესისა და გარემოს დაცვის პროექტის კონსულტანტმა ნატა გოდერძიშვილი ესაუბრა. **- თქვენი აზრით, ეს რა მხარეებია?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან არბიტრაჟი არის ნეიტრალური ფორმა ქონებრივი დავების გადაწყვეტისა. დადგენილი წესით, არბიტრებს მხარეები ირჩევენ, და ისინი ობიექტურობითა და სამართლიანობით გამოირჩევიან. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ არბიტრაჟის გზით დავის გადაწყვეტა უაღრესად ეფექტურია. პროცედურა არ არის დროში გაწეული ანუ დავის სწრაფად გადაწყვეტა ხდება, რადგან მასში კვალიფიციური და სერიოზული არბიტრები მონაწილეობენ.

- ამ ინსტიტუტის ამოქმედებისთვის არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა?

- შესაძლებელია, სამოქალაქო დავების, ქონებრივი დავების დიდი პროცენტი მხარეთა შეთანხმებით არბიტრაჟს გადაეცეს, ვინაიდან არსებობს სამართლებრივი საფუძველი. ქვეყანაში მოქმედებს 1997 წელს მიღებული კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს. მხარეთა შეთანხმებით, ქონებრივი დავები შესაძლოა არბიტრაჟს გადაეცეს საქართველოში აშუაშად არ არსებობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, მაგრამ არსებობს დროებითი არბიტრაჟები, როცა ის მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შედგება და ფუნქციონირებს. მცირე ხნის წინ შექმნდა საუბარო იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო ბიუროს თანამშრომლებთან. როგორც ვაგვიჩვენა, საქართველოში არსებული საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები ალსრულეულია. გამოტანილია გადაწყვეტილებები, რომლებსაც იურიდიული ძალა მიეცა და აღსრულდა. ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა.

- არბიტრაჟი - ეს არის დავის გადაწყვეტა სასამართლოს გარეშე, მაგრამ საკვალდებულოა, რომ მხარეების შეთანხმება თავდაპირველ ხელშეკრულებაში აისახოს?

- დიახ. მხარეთა შეთანხმებით, ქონებრივი დავების განხილვა არბიტრაჟს შეუძლია სასამართლოს გარეშე. ოღონდ ამის შესახებ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებაში უნდა იყოს.

- რაც შეეხება არბიტრაჟის მომსახურებას, ფრიედლანდმა განაცხადა, რომ პრაქტიკულად ეს მომსახურება ყველაზე ძვირი სამშენებლო კომპანიებს უჯდებათ. ამის შესახებ რას იტყვით?

- რა თქმა უნდა, არბიტრაჟი სასამართლოსთან შედარებით გაცილებით ძვირია. მაგრამ ეს

არის ზუსტად ის ალტერნატივა, სადაც მხარეს შეუძლია აირჩიოს: სასამართლო ან არბიტრაჟი.

- კერძო პირი დიდ თანხას იხდის, მაგრამ მოკლე დროში იღებს შედეგს და, ამდენად, მისი ქონება არ არის გაყინული?

- არბიტრაჟი არის ეფექტური გზა. ინვესტორების დიდი პროცენტი სასამართლოს არ ენდობა. ეს სრულიად გასაგებია, იმიტომ, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში არ არის ისე განვითარებული და დამოუკიდებლობით გამოირჩეული, როგორც სხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ინვესტორები ირჩევენ არბიტრაჟს.

- საგადასახადო დავებს რაც შეეხება, ამაზე არ იყო საუბარი? ეს მხოლოდ კერძო პირებს შეეხებოდა?

- ეს შეეხება კერძო პირებს და შესაძლოა იყოს ქონებრივი დავა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის. საგადასახადო დავებს შეეხო კოდექსში ცვლილება. საგადასახადო დავა არბიტრაჟზე განხილვას არ ექვემდებარება. არსებობს უამრავი საინვესტიციო, კომერციული და ქონებრივი დავები, რომელიც გადაეცემა არბიტრაჟს და ამის შესაძლებლობას დღეს მოქმედი კანონმდებლობა იძლევა. კონტრაქტში იდება მუხლი - საარბიტრაჟო დათქმა, რის საფუძველზეც არბიტრაჟს გადაეცემა კონკრეტულ მხარეებს შორის განსახილველი დავა. დღევანდელი შეხვედრის მიზანი იყო ამის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაცია და ახსნა, რადგან საარბიტრაჟო სამართალი არც უნივერსიტეტებში ისწავლება და საქართველოშიც არც ისე პოპულარულია.

- რამდენად რეალურია ამის განხორციელება?

შესახებ, თუ არ ვცდები, შემოტანილია მთავრობის ინიციატივით. მისი განხილვა არ მომხდარა. ეს კანონპროექტი არის საერთაშორისო ნორმებზე აგებული და მასთან შესაბამისობაში მოყვანილი.

- რამდენად მოქნილი მექანიზმით ხდება განხილვა?

- მთელი რიგი პროცედურები არსებობს - როგორ თანხმდებიან მხარეები არბიტრაჟზე არის გარკვეული პროცედურები, რომელსაც მხარეები ირჩევენ და არსებობს ინსტიტუციონალური არბიტრაჟები, რომლის წესების მიხედვითაც მოქმედებენ მხარეები. იქ არის მოცემული კონკრეტული პროცედურები და ვადები. რა ვადაში უნდა დაინიშნოს არბიტრაჟი, როგორ უნდა დაინიშნოს არბიტრაჟის თავმჯდომარე. რა ვადაში უნდა იყოს განხილული და გადაწყვეტილი საქმე. ეს არის აბსოლუტურად განვირული დეტალები, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან, ან ირჩევენ ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტს, როგორც არის იქსიდი, უნიტრალი; და მისი წესებით მოქმედებენ.

- რას იტყვით WHITE & CASE-ის შესახებ?

- ეს არის საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც ძირითადად არბიტრაჟების კუთხით მუშაობს. მას არ აქვს წარმომადგენლობა საქართველოში, მაგრამ საარბიტრაჟო დავებში იცავს საქართველოს ინტერესებს.

- პრივატიზაციის დროს რამდენად მნიშვნელოვანია, ხელშეკრულებაში ჩაიღოს, რომ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავა არბიტრაჟის გზით გადაწყდეს?

- არის შემთხვევები, როცა საარბიტრაჟო დათქმები არის ჩადებული. საერთაშორისო საარბიტრაჟო შეიძლება გაიმართოს პარიზში, სტოკჰოლმში ან ვაშინგტონში.